ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

18 აგვისტო, შაბათი, 1990 წ.
№ 155 (10 824) ● ფასი 8 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

გვეთვალოს და ვერ დაგვეთვალოს...

თბილისმა სპორტის ცალკეულ სახეობებში უკვე უმასპინძლა და ამ დღეებშიც მასპინძლობს მოსწავლეთა საქავშირო სპარტაკიადის მონაწილეებს. ეს სპარტაკიადა ალბათ ბოლო იქნება მოზარდთა სპორტის ისტორიაში, უკვე ცენტრშიც მივიდნენ ამ დასკვნამდე.

ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ საშუალება გვეძლევა, როგორც იტყვიან, დავათვალიეროთ საქართველოს ხვალინდელი სპორტული დღის რეზერვი. ჯერჯერობით შედეგები შთამბეჭდავია და, ასლავე, თუნდაც მხოლოდ დღემდე მოპოვებული წარმატებებით, ხმამაღლა შეიძლება განვაცხადოთ: ქართულ სპორტს საიმედო ცვლა ეზრდება. საქართველოს განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სპორტსახალხოს, სპორტსაზოგადოება „მართვეს“, აგრეთვე ცალკეული სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ერთობლივ ძალისხმევას უკვალოდ არ ჩაუვლია. და აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს: საერთო საქმისათვის ინტერესების გაერთიანებაში დიდი როლი შეასრულეს ჩვენი განათლების სამინისტროს ამჟამინდელმა ხელმძღვანელებმა, ამ სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სამმართველომ.

მოსწავლეთა საქავშირო სპარტაკიადა

თუ ორ მატჩშიც გაიმარჯვეს...

განვლო მოსწავლეთა საქავშირო სპარტაკიადის ფინალური ტურნირების პირველმა დღეებმა. უკვე გამოიკვეთა „წრე“ იმ გუნდებისა, რომლებიც პირველი ადგილისთვის იბრძოლებენ, მაგრამ არც აუტსაიდერები აპირებენ უბრძოლველად ფარ-ხმალის დაყრას. ყოველ შეხვედრაზე გუნდები ძალების მაქსიმალური დაძაბვით გამოდიან.

საქართველოს გოგოების ნაკრები რუსეთის ფედერაციის გუნდს შეხვდა. თუ პირველ დღეს ჩვენი გოგოები ღელავდნენ, ამ დღეს სულ სხვა გუნდი იხილა მოედანზე მაყურებელმა. ჩვენების უპირატესობა აშკარა იყო პირველსავე ნახევარში. მეტოქე გუნდმა ვერაფერი მოუხერხა მათი თავდასხმის და დაცვის რგოლებს. 13:9 — ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. შესვენების შემდეგაც თამაშის სადავეებს ჩვენი ხელბურთელები ფლობდნენ, მაგრამ შეხვედრის ბოლო წუთებზე ოდნავ მოადუნეს ყურადღება და მეტოქემ შეძლო ანგარიშში სხვაობის შემცირება. საბოლოოდ 23:21 გაიმარჯვა საქართველოს ნაკრებმა. ჩვენი ჰაბუკები ამ დღეს ისვენებდნენ, რადგან მათი მეტოქე — ლენინგრადის გუნდი, ადრეც ვწერდით, არ ჩამოსულა თბილისში სასპარეზოდ.

მომდევნო დღეს საქართველოს გოგოები ბელორუსიელთა ნაკრებს ხვდებოდნენ, გუნდს, რომელმაც ზედიზედ ორი შეხვედრა წააგო და უთქველი იყო, მხოლოდ გამარჯვებისათვის იბრძოლებდა. საქართველოს ნაკრებმა რეალურად შეაფასა სიტუაცია, თვითონვე გადავიდა შეტევაზე და პირველივე წუთებზე დაწინაურდა. ბელორუსიელები უბრძოლველად არ აპირებდნენ დანებებას, საკმაოდ მწვავედაც უტევდნენ, მაგრამ მეკარე და დაცვა საიმედოდ თამაშობდნენ. პირველი ნახევარი საქართველოს ხელბურთელებმა მოიგეს — 8:5. მეორე ტაიმის დასაწყისიდანვე კი მეტოქეს უფრო მწვავედ შეუტიეს. შუა ტაიმში უკვე ეჭვს აღარ იწვევდა მათი გამარჯვება. ასეც მოხდა — 19:14. ამ წარმატებით ქართველმა ხელბურთელებმა მეტად საპირო ქულები შემატეს თავიანთ აქტივს.

ქართველი ჰაბუკები უკრაინელ თანატოლებს ხვდებოდნენ. უკრაინელებს ერთი მოგება და ერთი დამარცხება ჰქონდათ, ასე რომ, კიდევ ინარჩუნებდნენ შესაძლებლობას, ებრძოლათ პირველი ადგილისთვის. პირველ ნახევარში მეტოქეებმა საკმაოდ მძაფრად იბრძოლეს. ორივე მხარე უპირატესობის დაუფლებას ცდილობდა. უკრაინელთა კოლექტივი, ძირითადად, მდევრის როლში გვევლინებოდა. ჩვენს ჰაბუკებს შეეძლოთ დაწინაურებულიყვნენ, მაგრამ რამდენიმეჯერ ვერ შეძლეს რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება. შესვენებაზე გუნდები საყაიმო ანგარიშით (8:8) წავიდნენ. მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრებმა მთელი ძალით შეუტია. ამასთან, მაყურებელმა იხილა მეტად ლამაზი, ეფექტური კომბინაციები. იყო პერიოდი, როდესაც ჩვენი ხელბურთელები ოთხნი დარჩნენ მოედანზე, მაგრამ პასიური ბრძოლა არ აურჩევიათ, პირიქით, ულამაზესი კომბინაციებით უტევდნენ მეტოქის კარს. ანგარიშით 20:15 გაიმარჯვეს ქართველმა ხელბურთელებმა.

კალათბურთელთა ტურნირში საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა აზრით, ჩვენმა გუნდმა, გამარჯვების მიუხედავად, როგორც ვწერდით, შესაძლებლობაზე სუსტად ჩაატარა პირველი შეხვედრა და უკრაინელთა ძლიერ გუნდთან საკმაოდ დაძაბული ბრძოლა ელოდა. აქ მათ თავდაცვა ხელთ იგდეს ინიციატივა, პირველი ნახევარი მოიგეს — 43:23. ამ შეხვედრაში გუნდი აქტიურად თამაშობდა როგორც დაცვაში, ისე თავდასხმაში. მეორე ნახევარი ჩვენებმა შედარებით დაბალ ტემპში ჩაატარეს, მაგრამ გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც —78:62.

ჩვენი ჰაბუკები მოსკოველთა გუნდს ხვდებოდნენ. ქართველმა კალათბურთელებმა თავიდანვე აქტიურად შეუტიეს, ყველა რგოლში დაჯაბნეს მეტოქე, რომელიც შეიძლება ითქვას, იოლად დაამარცხეს — 110:63 (49:22).

ფინალური ტურნირის დამთავრებამდე ორ-ორი შეხვედრა დარჩა ჩასატარებელი. პირველი ადგილების დასაკავებლად ჩვენს სპორტსმენებს მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ.

ბია ბურდული

სხვა შეხვედრათა შედეგები

ხელბურთი. გოგოები: ლატვია — მოსკოვი 21:21, უკრაინა — ბელორუსია 20:18, რსფსრ — ლატვია — 24:14, უკრაინა — მოსკოვი 26:16.

ჰაბუკები: რსფსრ — მოლდოვა 36:21, უკრაინა — ბელორუსია 21:18, რსფსრ — ბელორუსია 21:18.

კალათბურთი. გოგოები: მოსკოვი — ყირგიზეთი 94:55, რსფსრ — ლენინგრადი 92:64, უკრაინა — ყაზახეთი 49:54, ყაზახეთი — ყირგიზეთი 57:62, უკრაინა — ლენინგრადი 69:65, მოსკოვი — რსფსრ 78:76.

ჰაბუკები: რსფსრ — ყაზახეთი 70:68, მოსკოვი — ბელორუსია 74:85, ბელორუსია — რსფსრ 76:75, უკრაინა — ყაზახეთი 79:61.

ძნელი ბრძოლები ელით

სპორტის იმ 6 სახეობაში, რომლებსაც მოსწავლეთა საქავშირო სპარტაკიადის პროგრამით ჩვენი რესპუბლიკა მასპინძლობს, წყალბურთიც არის.

საბჭოთა კავშირის უძლიერეს ჰაბუკ წყალბურთელთა კოლექტივები იასპარეზებენ სახალხო განათლების სამინისტროს ბავშვთა და მოზარდთა წყალბურთის რესპუბლიკური სკოლის აუზში. წყალბურთელთა ტურნირის თითქმის ყველა მონაწილე გარკვეული პრეტენზიებით გამოემგზავრა თბილისში და, ბუნებრივია, ჩვენს გუნდს, რომელიც საპრიზო სამეულში მოსახვედრად იბრძოლებს, ძნელი ბრძოლები ელის.

საქართველოს ჰაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს მეტოქეობას გაუწევენ ლიტვის, მოლდოვის, ბელორუსიის, უკრაინის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, ყირგიზეთის, სომხეთის, აზერბაიჯანის, რუსეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრებები გუნდები. ჩვენი წყალბურთელები ამ ტურნირისათვის მოამზადეს გურამ ნამგალაურმა და გელა სუხნაშვილმა.

ტურნირი, რომელიც გუშინ დაიწყო, აგვისტომდე გასტანს. მატჩები ტარდება საირმის ჭუჭაზე მდებარე აუზში, თამაშები დაიწყება 11 და 14 საათზე.

ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგო

პოდოლსკში გრძელდება მოჭადრაკე ქალთა 50-ე საქავშირო ჩემპიონატი.

VI ტურში ქეთევან არახამიამ შავი ფიგურებით დაამარცხა ი. უმანსკაია, ხოლო ნათია ჯანჯღავას სძლია ტ. შუმიაკინამ.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ციგანოვა — ფურინა 0:1, სემიონოვა — ერნესტე 1:0, დიომინა — პუდკოვა 1:0, სტეპოვაია — პოპოვა 0:1, მატვეევა — ტაჯიევა 0,5:0,5, ჩელუშკინა — პრუდნიკოვა 0,5:0,5, ბორსუკი — ბორულია 0,5:0,5.

VII ტურში არახამიამ ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგო — თეთრი ფიგურებით ი. ჩელუშკინა დაამარცხა. რაც შეეხება ნათია ჯანჯღავას, იგი კვლავ დამარცხდა, ამჯერად, ს. მატვეევასთან შეხვედრაში.

დანარჩენი პარტიების ტექნიკური შედეგები ასეთია: ბორულია — სტეპოვაია 0:1, ერნესტე — უმანსკაია 0:1, ფურინა — სემიონოვა 1:0, ტაჯიევა — ციგანოვა 0,5:0,5, პოპოვა — შუმიაკინა 0,5:0,5. გადაიდო პუდკოვა — ბორსუკის და პრუდნიკოვა —დიომინას შეხვედრები.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ასეთი შედეგები აღინიშნა: IV ტური: უმანსკაია — პუდკოვა 1:0, V ტური: პრუდნიკოვა — უმანსკაია 0,5:0,5, ერნესტე — ციგანოვა 1:0, პოპოვა — ბორსუკი 1:0, III ტური: ფურინა — ტაჯიევა 0:1. II ტური: სემიონოვა — ბორულია 0,5:0,5.

ამრიგად, 7 ტურის შემდეგ 5-5 ქულით შეჯიბრებას სათავეში ჩაუდგნენ ქეთევან არახამია და ზოია პოპოვა. 4,5-4,5 ქულა დააგროვეს ინგუნა ერნესტემ, სვეტლანა მატვეევამ და ტატიანა შუმიაკინამ.

კიდევ ერთი 5 ათასი

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის სხდომაზე რესპუბლიკის პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ თავმჯდომარის მოადგილემ ემზარ ზენაიშვილმა, რომელიც ამავე დროს სიჯანსაღისა და სპორტის რესპუბლიკური საქველმოქმედო ფონდის მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეა, განაცხადა, რომ პარდუბიცეს სტიპლ-ჩეისში ქართველი მხედრების დამოუკიდებელი მონაწილეობისათვის ფონდმა გამოყო 5 ათასი მანეთი.

მსოფლიო ჩემპიონატი სროლაში

ისტორია განმეორდა

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **ბიორგი ჩოჩიშვილი** მოსკოვიდან ტელეფონით გვატყობინებს

ნინო სალუქვაძემ მოსკოვში მიტინგის სასროლეთზე თავის მრავალრიცხოვან ტიტულებს მსოფლიო ჩემპიონის კიდევ ერთი ტიტული შემატა — ოღონდ კვლავ გუნდურ პირველობაში. როგორც უკვე გაცნობეთ, რამდენიმე დღის წინ მან და მისმა ორმა თანაგუნდელმა მსოფლიო რეკორდით მოიგეს შეჯიბრება პნევმატური პისტოლეტით სროლაში. გუშინ მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობისას, რომ იტყვიან, ისტორია კვლავ განმეორდა: სსრ კავშირის ნაკრები, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ მარინა ლოგვინენკო, ევგენია გალუზო და ნინო სალუქვაძე, კვლავ უძლიერესი აღმოჩნდა, ამ სამეულმა 1751 ქულა მოაგროვა და 16 ქულით ჩამოიტოვა მეორე ადგილზე გასული შვეიცის გუნდი. ჩინელებმა 1733 ქულა მოაგროვეს და მესამე ადგილზე დარჩნენ.

პირად პირველობაში კი ნინოს საქმე ისე ვერ წარიმართა, როგორც გვსურდა. მას ფინალში გასასვლელად ერთადერთი ქულა არ ეყო და, საბოლოოდ, ქართველი მსროლელი მეცხრე ადგილზე გავიდა (ნინომ 581 ქულა მოაგროვა). ეს ცნობა, ცხადია, ნინოს გულშემატკივრებს გულს დასწყვეტს, მაგრამ სროლა სროლაა და ისეთ საუცხოო ჩუბინს, როგორიც ჩვენი ჩემპიონია, აქვს თავისებური „შესვენების უფლება“. უფრო დიდი წარმატებები კი, უეჭველია, ბევრი ეკნება წინ. ამჯერად, ცოტა სასაცილოც კი არის სათქმელად, მსოფლიო ჩემპიონის ორ ოქროს მედალს უნდა „დავჯერდეთ“.

თბილისელი მესტენდურე მაია გუბიევა ამ უმაღლესი რანგის შეჯიბრების დებიუტანტია, მაგრამ ასპარეზობის პირველ დღეს ნაცადი ოსტატივით ისროდა. ადგილიდან სროლაში ბევრმა ცნობილმა სნაიპერმა მოიყარა თავი. ქალთა შორისაც იყვნენ გამორჩეული სპორტსმენები, მაგრამ თავიდან დაწინაურდნენ ამერიკელი ეროჩი და მაია გუბიევა. პირველს 71 ქულა ჰქონდა, მაიას — ქულით ნაკლები. გუშინდელი შეჯიბრების ერთ მონაკვეთში თბილისელი მსროლელი სათავეშიც კი ჩაუდგა სატურნირო ცხრილს, თუმცა შემდეგ მისმა მთავარმა მეტოქეებმა — იტალიელებმა — ისეთი სიმარჯვე გამოიჩინეს, კაცებს შეშურდებოდათ. მაიას სამმა სპორტსმენმა გაუსწრო, მაგრამ გადამწყვეტი სერიები დღეს უნდა გაიმართოს. ჯერჯერობით ასპარეზობას 142 ქულით ლიდერობს იტალიელი რობერტა ბელოზი. მაიას 137 ქულა აქვს.

სამაგეროდ გუნდურ შეჯიბრებაში სსრ კავშირის ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში გამოდის გუბიევა, მხოლოდ იტალიელებმა აჯობეს და მაიამ თანაგუნდელებთან ერთად მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ინფორმაცია

ბადენ-ბადენში (გფრ) მიმდინარეობს საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

შეჯიბრებაში, რომელიც შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება, მონაწილეთა შორის არიან ქართველი მოჭადრაკეებიც — მაია ჩიბურდანიძე, ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და გენადი ზაიჩიკი.

5 ტურის შემდეგ 4,5-4,5 ქულა აქვს მონაწილეთა ერთ ჯგუფს, მათ შორისაა თბილისელი საერთაშორისო დიდოსტატი გენადი ზაიჩიკი.

თითქმის ორ კვირას გრძელდებოდა პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების პირველობა ჭადრაკში 16 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, რომელიც ვორონეჟის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა.

26 მოჭადრაკეს შორის იყვნენ ჩვენი თანამემამულენიც — თეა კოლაძე, მაკა მდივანი, ინდირა წივწივაძე და ეკა ჯავახიშვილი.

კარგი დასაწყისის შემდეგ ჩვენმა მოჭადრაკეებმა ვერ შეძლეს ლიდერთა ჯგუფში ადგილის შენარჩუნება. ყველაზე კარგი შედეგი თეა კოლაძემ აჩვენა. მან 9 შესაძლებლიდან 5,5 ქულით VI-IX ადგილები გაიყო. მ. მდივანმა და ი. წივწივაძემ 4,5-4,5 ქულა დააგროვეს, ე. ჯავახიშვილმა — 4.

რაც შეეხება საპრიზო ადგილებს, ისინი ასე განაწილდა: 1. ინა დუბინკა (ხარკოვი) — 7, 2. ტატიანა რუბინა (რიბნიცა) — 6,5, 3. ლარისა ჩერნენკო (კრამატორსკი) — 6.

გამარჯვების წამის ფასი

შას დღესაც ისე უყვარს სპორტი, როგორც მაშინ, უყვარს იმიტომ, რომ მან სულში დაუტოვა ახალგაზრდობა, უყვარს იმისთვისაც, რომ სწორედ სპორტში შეხვდა საუკეთესოს, რაც უყვარდა და რაც ნახა ცხოვრებაში. რა თქმა უნდა, მიხვდით, ლაპარაკია ვეტერანზე. იგი ხომ ჩვენი სპორტის თავისებური მატიანეცაა, რომელსაც უამრავი საინტერესო ეპიზოდის გახსენება შეუძლია. ამიტომ მასთან შეხვედრას მკითხველიცა და კორესპონდენტიც მოუთმენლად ელიან — გარდასულ დღეთა გახსენება ხომ პატარა ზეიმიცაა, ჩვენში რომ ისადგურებს.

მე კი, ამთავითვე უნდა ვაღიარო, ზეიმის მოლოდინი არა მქონია, უფრო ეჭვით შეპყრობილი მივდიოდი მზია ჯუღელთან, რადგან პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი ქალი მაინტერესებდა არა როგორც დიდების შარავანდედით მოსილი, არამედ — როგორც ოცდაათიანი წლების რეპრესირებული ოჯახების ერთ-ერთი წარმომადგენელი, რომელმაც ის მძიმე წლები ღირსეულად გადაიტანა, ბედს არ დამორჩილდა და მაინც მიაღწია მიზანს.

დამეთანხმებით, არცთუ ადვილი მისია ვითავე — ახა ვის სიამოვნებს იმის გახსენება, თუ როგორ ამცირებდნენ „მავნებლის შვილს“ საჯაროდ, არაფერში ენდობოდნენ და გაურბოდნენ...

საბედნიეროდ, დრომ ყველას და ყველაფერს საკადრისი მიუზღო და თავთავის ადგილზე განალაგა. ამდენად, ჩემს სტუმრობასა და მისიას ისე მტკივნეულად არ გადაუხსნია ძველი ჭრილობა ქალბატონ მზიასთვის. მან მოგონებათა „გორგალი გადმოშალა“.

...ფოტოკორესპონდენტმა თავისი საქმე გააკეთა. ბარათის ღილაკს თითი დააჭირა, ხაკეტი გაჩხაკუნდა და ალბომჭდა „წამი გამარჯვებისა“.

...გურჯაანში სამუშაოდ ჩასულ ექიმთა ოჯახს მარტო პაციენტებისადმი გულითადობისა და ყურადღების გამოჩენის გამო არ მიუპყრია ადგილობრივთა ყურადღება. ყველას აოცებდა მათი ახტაჯანა ქალიშვილი, ისეთი, როგორზეც ამბობენ — შეცდომით არის გოგოდ გაჩენილიო. ეს მოუსვენარი არსება ხან მშობლებთან მისულ ავადმყოფის ცხენს მოახტებოდა და გააჭენებდა დაუკითხავად, ხან ბიჭებს აუტუხავდა ცემატყეპას. ერთი სიტყვით, მზიას ამბები სალაპარაკოდ ჰქონდათ. დრო გადიოდა და მის „დაჭკვიანებას“ საშველი არ ადგებოდა. პირიქით, მერე და მერე ახტალის სამკურნალო წყლებსაც აკითხავდა და ცურაობდა; არც ხეზე ასვლაში უდებდა ტოლს ბიჭებს. ყველაფერ ამას კარგად ამჩნევდა ფიზკულტურის მასწავლებელი შალვა ბოსტაშვილი, სწორედ ის, ზამთარს უპალტოოდ რომ ატარებდა და ამ გამძლეობისა და გრძელი, შავი ულვაშისათვის „ბუდიონა“ რომ შეარქვეს. მან მზიას თანატოლებისაგან შექმნა ჯგუფი და სავარჯიშოდ მიიწვია „დარბაზში“, რომლის მაგივრობას იქაური წმინდა სამების ეკლესია ასრულებდა. ცხადია, იქ ნორმალური სავარჯიშო პირობები არ იყო, მაგრამ მასწავლებლისა და აღსაზრდელების მონდომებამ იმდენი შეაძლებინა გურჯაანელებს, რომ მათმა გუნდმა საქართველოს მოსწავლეთა პირველობაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, სპატიო მეორე ადგილი დაიკავა. ეს კი ნამდვილი სენსაცია იყო და ამ გამარჯვებაში ლომის წილი, რა თქმა უნდა, მზიას ედო, რომლის გაბედულმა ილეთებმა აღაფრთოვანა მსაჯებიც და მაყურებელიც. მეგობრებთან ერთად ზეიმობდა მზიაც და უფრო დიდ წარმატებებზე ოცნებობდა. და სწორედ ამ დროს ყველაფერი შავად დაიჩრდილა — გოგონას დედ-მამა დაუპატიმრეს, სახლის კარი აუკეტეს და ყოველდ მიუსაფარი ბედის ანაბარა დარჩა. მაგრამ ბედისწერამ პატარა ვერ გატეხა, დროებით „ბუდიონა“ მასწავლებელმა შეიკედლა და მერე თბილისში ბებიას ჩაუყვანა. აქ კი ცნობილ პედაგოგსა და ტანმოვარჯიშეთა თაობების აღმზრდელს არჩილ ბაქრაძეს — „ძია არჩილს“ წარუდგინა, ყურადღება მიაქციეთ ამ გოგონას, არ გაგაწბილებთო.

თითქოს ყველაფერი უკან დარჩა — მშობლების დაპატიმრებით გამოწვეული ელდაც მინელდა; მზია კარგი აღმზრდელის ხელში მოხვდა, ვარჯიშის პირობებიც უკეთესი ჰქონდა, ბესიკის ქუჩაზე მდებარე „დინამოს“ დარბაზი იმ დროის მოთხოვნებს სავსებით პასუხობდა, მაგრამ არა —„ხალხის მტრების“ შვილის დამღა მზიას ნიადაგ თან სდევდა და თავს ახსენებდა.

...1939 წლის სამაისო დღესასწაულზე სკოლის დემონსტრანტებს წინ გლობუსის დიდი მაკეტი უნდა წაძღოლოდათ, რომელზეც დროშით ხელში, სპორტულ ფორმაში გამოწყობილი მოხდენილი გოგონა უნდა მდგარიყო.. ეს როლი მზიას დაეკისრა. რამდენიმე სასინჯი მსვლელობაც გაიარა ასე კოლონამ, მაგრამ მაისის კვირაძალზე „გონს მოვიგენ“ — მზია ხომ „მავნებლის“ შვილი იყო — მაშასადამე, მას წითელი ალმის ხელში დაჭერის უფლება არ ჰქონდა და ეს მისია სხვას შეასრულებინეს...

ეს იყო პირველი დარტყმა, რასაც პატარა მზიას ოცნებისათვის — გამხდარიყო ნამდვილი სპორტსმენი — ფრთები უნდა შეეკვეცა. მაგრამ კიდევ და კიდევ იგი არ ნებდებოდა ბედს და უფრო შეუპოვრად, თავდაუზოგავად ვარჯიშობდა და ემზადებოდა მომავალი ასპარეზობისათვის. ეს კი საკმაოდ სპასუხისმგებლო შეჯიბრება გახლდათ — მოსწავლეთა 1939 წლის საკავშირო პირველობა, რომელსაც მოსკოვი მასპინძლობდა. იქ 13-14 წლის გოგონათა გამოსვლებში მზიამ საპრიზო ადგილები მოიპოვა ბჯენით ხტომებსა და დვირზე ვარჯიშში. იმავე შეჯიბრებაზე თბილისელმა მოსწავლემ რაქდენ იმნაძემ ჩემპიონობა არავის დაუთმო ღერძზე გამოსვლებში. მ. ჯუღელისათვის უფრო უხმოსავლოდ გამოდგა მომდევნო წელი. ამჯერად ქვეყნის მოსწავლეთა პირველობის მონაწილენი ლენინგრადში შეიკრიბნენ. აქ უკვე მზია არავის „ინდობს“ და კვლავ მიუწვდომელია მეტოქეთათვის ბჯენით ხტომებსა და ღერძზე ვარჯიშში, მესამეა ნაირსომაღლის ორძელზე, აბსოლუტურ პირველობაში კი სპატიო მესამე ადგილზე გავიდა და გამარჯვებულ მოსკოველ ვ. ტიურინას სულ ოდნავ ჩამორჩა. ეს თითქმის ტრიუმფის ტოლფასი იყო და იგი საგანგებოდ აღინიშნა კიდევ ცენტრალურ პრესაში, კერძოდ, „პრავდამ“ დაბეჭდა მზიას ღერძზე გამოსვლის ამსახველი ფოტო („წამი გამარჯვებისა“,), მაგრამ 1940 წელი სხვა მხრივაც იყო მ. ჯუღელისათვის დასამახსოვრებელი. მან შეძლო მშობლების ბედის გარკვევა და ეს საკმაოდ მოულოდნელად მოხდა. ლენინგრადიდან დაბრუნებულნი მოსკოვში შეჩერდნენ და გოგონამ ძია არჩილს სთხოვა აეჩნება დედ-მამის კვალს მიმაგნებინოო. შეგირდი და მწვრთნელი დედაქალაქის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი დიდი ადმინისტრაციული შენობის სადარბაზოში შევიდნენ. მწვრთნელმა სარკმელში თავი შერგო და გამოელაპარაკა ვიღაცას. შემდეგ ფანჯრიდან კაცმა გამოყო თავი და ძია არჩილს უსაყვედურა — ამ პატარას ვინ შეუშვებსო.

— ეს პატარა აი, ეგ ჩემპიონია, მანდ რომაა დაბეჭდილი, — უთხრა მწვრთნელმა და მაგიდაზე დადებულ „პრავდაზე“ მიანიშნა, რომელზეც მზიას „გამარჯვების წამი“ იყო აღბეჭდილი. სურათმა გაჭრა — მოხელე მოლბა და ფორმიანი მამაკაცის თანხლებით პატარა მაღლა აუშვეს. ერთ-ერთ ოთახში მას სათვალიანი „მაღალი თანამდებობის“ პირი დახვდა. ბავშვმა გაანდო მისვლის მიზეზი, იგი ტელეფონის ყურმილს დასწვდა და დარეკა, — სად? — ეს მზიას არ ახსოვს, არც საუბარს ჩასწვდა ბოლომდე, რადგან უფრო ციფრები და უცნობი სიტყვები ესმოდა. შემდეგ ბავშვს უთხრეს, რომ მამა დახურულ ბანაკშია და ახლობლებთან მიწერ-მოწერის უფლება არა აქვსო. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ იგი დახვრეტილი იყო. აი, დედის მისამართს კი მოგცემთ — ვოლოგდის ოლქი, სადგური ნიკოლსკი, სოფელი შექსნა — შეგიძლია მისწერო. მზია ფრთებშესხმული გამოვიდა შენობიდან, მასზე ბედნიერი ქვეყნად არავინ იყო. თბილისში ჩამოსვლისთანავე მისწერა დედას და მალე სპასუხო წერილიც მიიღო. ახლა მზიას ვარჯიშის გარდა არაფერი აინტერესებდა, რადგან სწორედ სპორტის წყალობით მოძებნა მან დაკარგული მშობლები, ცხოვრებაშიც თავისი ადგილი დაიმკვიდრა და იწამა, რომ ტანვარჯიში უფრო შორს გააკვლევინებდა გზას. და მართლაც...

— 1945 წელს, ომის დამთავრებისთანავე მოსკოვში „დინამოს“ საკავშირო პირველობა ჩატარდა. გამარჯვებულები, რომელთა შორის მეც ვიყავი, სურსათის სპეციალური ულუფითა და ფასიანი საჩუქრებით დაგვაჯილდოვეს, — იხსენებს ქალბატონი მზია, — შემდეგ ამ საზოგადოების ტანვარჯიშის საკავშირო სექციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, გენერალმა ობრუშნიკოვმა, რომელსაც განსაკუთრებით ხიბლავდა ჩემი ტემპერამენტიანი ვარჯიში, მიღებაზე მკითხა — სხვა ხომ არაფერი გნებავთო.

— როგორ არა, — მივუგე გათამამებულმა, პატიმარი დედის ნახვის ნებას თუ დამრთავთ, დიდად მადლობელი ვიქნები-მეთქი.

— რატომაც არა, — იყო პასუხი და სულ მალე, ლენინგრადის მატარებელზე ერთ-ერთ გამყოლს ჩამაბარეს.

ასეთ დასასრულს ნამდვილად არ ველოდი და არც ამ შორეული მგზავრობისთვის ვყოფილვარ მზად. ზამთრის პირი იყო, მე კი საკმაოდ შალიფად ვიყავი ჩაცმული. ასე ვიმგზავრე ნიკოლსკამდე, მაგრამ, ვაი ამ მგზავრობას — ხალხით გაჭედილ ვაგონში სულის მოთქმის საშუალება არ იყო, ომგადახდილი, ევაკუირებული ლენინგრადელები სახლებში ბრუნდებოდნენ. აქ ჩემი ჩაცმულობა, ასე-თუ ისე, შეეფერებოდა კლიმატს, მაგრამ, როცა ნიკოლსკში, ვიწროლანდაგიან „კუკუშკაზე“ გადავჯექი, ნურას უკაცრავად — ჩემი თხელძირიანი ფეხსაცმელი და ასევე თხელი პალტო ყველას სიბრალულს იწვევდა. ნიკოლსკში საგანგებოდ „გამომაწყვეს“ დაბამბულ შარვალში და თექის ჩექმებში. იქიდან, სადაც რკინიგზა მთავრდებოდა, მარხილით ვიარეთ შექსნამდე.

პატიმართა ბანაკის უფროსმა პატივისცემით მიმიღო და დიდი ყურადღება გამოიჩინა, როგორც „მათი“ საზოგადოების — „დინამოს“ ჩემპიონის მიმართ. დედამ უფროსის ოთახში კარი შემოაღო თუ არა, უგრძნობლად ჩაეკეცა და დიდხანს ვასულიერებდით... სხვათა შორის, პატიმრის პირობაზე ცუდად არ იყო მოწყობილი — ჰქონდა კბილის სამკურნალო კაბინეტი, დასასვენებელი ოთახი ცალკე და, წარმოიდგინეთ, პატიმრების გარდა მახლობელი სოფლებიდანაც კი მოდიოდნენ მასთან კბილის სამკურნალოდ.

ამ მოგზაურობამ მხრებიდან მძიმე ტვირთი ჩამომხსნა, ნიადაგ აფორიაქებული სული ერთგვარად დამიწყნარდა კიდეც და ახალი ძალით შევუდექი ვარჯიშს. მალე ამიყვანეს ქვეყნის ნაკრებშიც, რომელიც უნგრეთში უნდა გამგზავრებულიყო საერთაშორისო შეჯიბრებაზე. შეკრებას ვაწყობდით მოსკოვის ახლო მდებარე დაბა ვიშნიაკში. გამგზავრების დღის დილას თანაგუნდელთა ხმაურმა გამომაღვიძა. ყველას თადარიგი დაეჭირა, მე კი არავინ მეუბნებოდა ადექიო. თურმე, წინა ღამეს „ხალხის მტრის“ შვილი სიიდან ამოერიცხათ და ზრდილობიანად მითხრეს —„შენი საბუთების გაფორმება ვერ მოვასწარითო“. იგივე ისტორია გამეორდა 1950 წლის მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალზეც. ეს უკვე მეტისმეტი იყო, რადგან ვიგებდი საკავშირო შეჯიბრებებს, ვრიცხებოდი ნაკრებში, აი წაყვანაზე კი... გავგულისდი და კრემლში მივიტანე განცხადება, რომელშიც ვწერდი, რომ ან ნება დაერთოთ საზღვარგარეთ გამოსვლაზე, ანდა საერთოდ დავანებებდი თავს ვარჯიშს. ეტყობა, მაშინ ჩემპიონებს მეტად აფასებდნენ, კრემლის კომენდატურიდან გამოვემართე თბილისისკენ და შინ დამხვდა დეპეშა — სასწრაფოდ ჩამოდით მოსკოვში. იქიდან კი თავი ამოვყავი ბერლინის ეროპორტში, საიდანაც რკინიგზის სადგურისაკენ გავემართე ჩვენი გუნდის დასახვედრად. წარმოიდგინეთ თანაგუნდელების გაოცება, რომელთაც თბილისში ვეგონე და თანამგრძნობდნენ, რომ მათთან არ ვიყავი...

კარგად მახსოვს მაშინდელი საკავშირო სპორტკომიტეტის თავმჯდომარის ნიკოლაი რომანოვის ნათქვამი — „თქვენთვის ნაკრების კარი მუდამ ღიაა“. ასე გამეხსნა გზა საერთაშორისო სარბიელისაკენ. მაშინ ბერლინის „სპორტპალეს“ დარბაზში ორი ოქროს (ტრამბოში ვარჯიშში და გუნდური პირველობისათვის) და ერთი ვერცხლის მედალი (დვირზე) მოვიპოვე. თითქმის იგივე გამეორდა იმავე ქალაქში სტუდენტთა მსოფლიო სპორტულ თამაშობებზე. მაყურებელს განსაკუთრებით მოეწონა ქართულ მუსიკაზე შესრულებული ჩემი თავისუფალი ვარჯიში, რაშიც ვერცხლის მედალი მოვიპოვე. შემდეგ დადგა სპორტსმენისათვის სანატრელი ოლიმპიადა. ეს იყო საბჭოთა სპორტის დებიუტი ამ დიდ საერთაშორისო ფორუმზე — 1952 წელი, ჰელსინკი.

მახსენდება ოლიმპიადისწინა სამზადისი. იგი ვიბორგის მხარის ერთერთ მყუდრო კუთხეში მიმდინარეობდა. რა დასამალია, ყველა ვღელავდით, რადგან ეს იყო პირველი მასობრივი გასვლა ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩვენი სპორტსმენებისა, რომლებსაც საბჭოეთის სპორტული ღირსება უნდა დაეცვათ ამ მეტად საპასუხისმგებლო ასპარეზობაში. ჯერ არ ვიცოდით, როგორ მასპინძლობას გაგვიწევდნენ ფინელები, როგორ შეგვხვდებოდნენ კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები. ერთი სიტყვით, საჭიმახო და საფიქრალი ბევრი გვქონდა, მაგრამ, როგორც კი ფინეთში, ოლიმპიურ სოფელ ოტონიემში დავბანაკდით, დაძაბულობა უმალ განიმუხტა და ამ გაჯირვებიდან ისევ ჩვენმა ხასიათმა გვიხსნა. საქმე ის იყო, რომ ყველას ეგონა, თითქოს ჩვენ, დებიუტანტებს, რაღაც საიდუმლო, შინაური სიურპრიზი გვქონებოდა მომზადებული, რომელსაც წინასწარ არავის გავუმხელდით. ადგილობრივმა გაზეთებმაც ისიც კი დაბეჭდეს, რომ საბჭოთა სპორტსმენები კარჩაკეტილ დარბაზში ივარჯიშებენო. მაგრამ პირიქით მოხდა, იმ სკოლის დარბაზის კარი, რომელშიც ჩვენ ბოლო ვარჯიშებს ვატარებდით, ყველასათვის ღია იყო. მეტიც, თითოეული ჩვენგანი მზად იყო, რაიმე რჩევა მიეცა ან უშუალოდ იარაღზე ეჩვენებინა ესა თუ ის ტანვარჯიშული ილეთი. ასე დაგვმეგობრდა ერთი იაპონელი გოგონა, რომელსაც დიდად დავეხმარეთ სავალდებულო პროგრამის დახვეწაში. სულ მალე ყველას პირზე ეკერა სპორტსმენების მ. გოროხოვსკაიას, გ. შამრაის, ნ. ბოჩაროვას, კ. კალინჩუკის, გ. შარაბიძისა და სხვათა სახელები, ვინაიდან ისინი მუდამ მზად იყვნენ სხვების დასახმარებლად.

რაც შეეხება უშუალოდ ასპარეზობას, ტანმოვარჯიშეებმა ტრიუმფით განვლეთ ეს ოლიმპიური დებიუტი და ოქროს მედლებით დავბრუნდით შინ.

მას შემდეგ მთავარი ბრძოლა პირველობისათვის სწორედ საბჭოთა კავშირის წარმომადგენელთა აქტიური „ჩარევით“ იმართება ოლიმპიადებზე, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სპორტის ამ ულამაზესი სახეობის დახვეწა-განვითარებაში. ასეთ მაჟორულ ხოტბებს დაამთავრა მოგონებები ჩვენმა სახელოვანმა სპორტსმენმა, ქვეყნის შვიდგზის ჩემპიონმა და სხვადასხვა საერთაშორისო ტურნირების გამარჯვებულმა ქალბატონმა მზიამ.

მზია ჯუღელი 1954 წლის ხაკავშირო პირველობაზე ქ. სტალინგრადში.

ჩაიწერა შუშანა ჭიჭინაძემ

პაატა ხუსკივაძე ჯუმბერ ლეჟავას კონკურენტი?

გინესის რეკორდების წიგნის „ბინადართა“ შესახებ, ამ ცოტა ხნის წინათ, ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქე მეტად ძუნწ ინფორმაციას თუ მოიპოვებდა. ჩვენი პრესა, მეტი რომ არ ვთქვათ, არასერიოზულ ხალხად ნათლავდა მათ, ვინც სურვილს მაინც გამოთქვამდა ამ წიგნში მოხვედრილიყო. მაგრამ დრო შეიცვალა და გინესის წიგნში მოხვედრის მსურველნი ჩვენშიც გამოჩნდნენ — საქართველოში.

თითქმის ყველა რესპუბლიკური გაზეთის ფურცლები „მოიარა“ ჯუმბერ ლეჟავამ — გინესის რეკორდების წიგნის პირველმა კანდიდატმა, და, როგორც ახლახან თავად ბრძანა, შორს არ არის ის დრო, როცა ქართული სახელი და გვარი შეემატება პოპულარულ ბრიტანულ გამოცემას. მოგეხსენებათ, ყოველთვის პირველობაა ძნელი, თორემ მიმდევარი გამოგიჩნდება. ამჯერადაც ასე მოხდა. არა მარტო მიმდევარი, არამედ საკმაოდ სერიოზული კონკურენტიც გამოუჩნდა ჯუმბერ ლეჟავას. ეს არის ზესტაფონის რაიონის სოფელ კვალითის მკვიდრი, 28 წლის პაატა ხუსკივაძე, რომელმაც შებედა ლეჟავას რეკორდს (4447 აზიდვა) და, როგორც რაიონული გაზეთი „ზესტაფონის მოამბე“ იუწყება, კიდევაც გააბათილა იგი — პ. ხუსკივაძე 4551-ჯერ აიზიდა იატაკიდან, მაგრამ ვფიქრობთ, ზესტაფონელი რეკორდსმენი, თავს ვერ დაიმშვიდებს, რადგან ჯუმბერ ლეჟავა გამუდმებით ვარჯიშობს და ახალ-ახალი რეკორდების მოხსნას აპირებს. ამ ეტაპზე კი, კარგი იქნებოდა, ერთმანეთს გასჯიბრებოდნენ ჯუმბერ ლეჟავა და პაატა ხუსკივაძე, რათა ზუსტად თუ არა, მიახლოებით მაინც ვიცოდეთ, ვინ შეიძლება იყოს გინესის რეკორდების წიგნის პირველი ქართველი წარმომადგენელი.



ს. ჯაბახიშვილი

სურათზე: პ. ხუსკივაძე.

სადისციპლინო კომისიის სხდომაზე

რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომისიის მორიგ სხდომაზე განიხილეს ეროვნულ ჩემპიონატში წესრიგის დარღვევათა ფაქტები.

ზუგდიდის „ოდიშის“ და ქუთაისის „ჭუთაისის“ შეხვედრის დროს მაყურებელთა მცირე ნაწილი თავს დაესხა მსაჯს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას. ამის გამო, ზუგდიდის ცენტრალური სტადიონი 1 თამაშით დისკვალიფიცირებულია. სტადიონის დირექცია გააფრთხილეს, რომ სასწრაფოდ დაასრულოს მინდვრის ბადით შემოღობვა.

გუნდი დაჯარიმდა 15 ათასი მანეთით. 1 კალენდარული მატჩი გამოტოვა მ. შეროზიამ, რომელიც 300 მანეთით დაჯარიმდა. ანალოგიური სასჯელები დაედოთ მ. ჯიქიას („ოდიში“) და რ. თორღაშვილს („ჭუთაისი“).

უსიამოვნო ინციდენტი მოხდა გორში, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ ადგილობრივი „დილა“ და ლანჩხუთის „გურია“. ეს მატჩი მოიგეს მასპინძლებმა — 1:0, მაგრამ ლანჩხუთელებმა გააპროტესტეს შეხვედრა და იგი ხელახლა შედგება ნეიტრალურ მოედანზე.

გორის სტადიონი ერთი მატჩით დისკვალიფიცირებულია, „დილა“ დაჯარიმდა 5 ათასი მანეთით. მასპინძელთა გუნდის ფეხბურთელმა ვ. ქობესოვმა გამოტოვა 1 მატჩი და დაჯარიმდა 200 მანეთით, თითო მატჩი გამოტოვეს და 300-300 მანეთი ჯარიმა გადაიხადეს ლანჩხუთელებმა — მ. კორღალიძემ და ბ. დანელიამ.

არანორმალურ ვითარებაში ჩატარდა რამდენიმე შეხვედრა I ჯგუფში მოასპარეზე გუნდებს შორის. სხვადასხვა სახის დარღვევებისთვის დაისაჯნენ: თელავის „კახეთის“ მოთამაშე სანიკიძე, რომელიც 5 თამაშითაა დისკვალიფიცირებული, მანვე უნდა გადაიხადოს 300 მანეთი; იგივე რაოდენობის თანხას გადაიხდის, ოღონდ 3 თამაშს გამოტოვებს, ჩხოროწყუს „სამეგრელოს“ წარმომადგენელი ჩალიგავა, რომელმაც შეურაცხყო მსაჯი.

100 მანეთით დაჯარიმდა და 3 მატჩს გამოტოვებს „არაგვის“ (დუშეთი) ფეხბურთელი ციმაკურიძე. მწვრთნელისათვის შეუფერებელი საქციელისთვის მკაცრად გააფრთხილეს და 100-100 მანეთით დაჯარიმეს ბოლნისის „სიონის“ გუნდის ხელმძღვანელები მ. ჯაფარიძე და ფ. რეხვიაშვილი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

I ჯგუფი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XXII ტურის შეხვედრები I ჯგუფის გუნდებს შორის: „ჩიხურა“ (საჩხერე) — „სულორი“ (ვანი) 1:2; „სიხარული-90“ (გაგრა) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 2:1; „ბახტრიონი“ (ახმეტა) — „სიონი“ (ბოლნისი) 0:0, „შუქურა“ (ქობულეთი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1, „იმერეთი“ (ხონი) — სტუ (თბილისი) 1:0, „ქართლი“ (გორის რ-ნი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 3:1, „კახეთი“ (თელავი) — „მარგვეთი“ (ზესტაფონი) 2:1; „სპორვნელა“ (თერჯოლა) — „ალაზანი“ (გურჯაანი) 1:2, „მაღაროელი“ (ცხინვალი) — ფიზკულტ. ინსტ. (თბილისი) 3:1.

რა ხდება თბილისის „იბერიაში“

თბილისის „იბერიის“ ფეხბურთელთა უფერული თამაში წლევანდელ სეზონში გულშემატკივართა გარკვეულ და სამართლიან შეშფოთებას იწვევს. იბერიელებმა ჯერ კიდევ სეზონის გახსნის დღეს საკუთარ მინდორზე მარცხი იწვნიეს ფოთის „კოლხეთთან“ შეხვედრაში, ვერც შემდგომში გამოიჩინეს თავი, ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს ლიდერობას და 9 აგვისტოსაც, ასევე საკუთარ მინდორზე, დამარცხდნენ რუსთავის „გორდასთან“ მეტად მნიშვნელოვან, საპასუხისმგებლო, პრესტიჟულ მატჩში. გულშემატკივართა შეშფოთება სავსებით გასაგებია. მართალია, რესპუბლიკის სხვა რაიონებისა და ქალაქების გუნდებმა ბოლო ხანებში გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს, მაგრამ თბილისის „იბერიის“, ყოფილი „დინამოს“, ასეთი ჩავარდნა, ასეთი სუსტი თამაში აშკარად შეუსაბამო და გაუგებარია. ამის თაობაზე რედაქციაში მრავლად მოდის წერილები. ფეხბურთის მოყვარულებს აინტერესებთ, რამ გამოიწვია საქართველოს განთქმული გუნდის ასეთი მძიმე ჩავარდნა, თამაშის გაუფერულება. ისინი მოითხოვენ სათანადო ახსნა-განმარტებას გუნდის ხელმძღვანელებისგან.

„ლელოს“ კორესპონდენტი ამ დღეებში ეწვია იბერიელთა საწვრთნელ ბაზას დიღომში. თბილისის „იბერიის“ მთავარი მწვრთნელი დავით ყიფიანი ამჟამად ავადაა, მას რთული ოპერაცია გაუკეთეს მოსკოვში. თუმცა დ. ყიფიანის ჯანმრთელობა ახლა დამაკმაყოფილებელია, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ერთხანს ვერ შეასრულებს თავის საფეხბურთო მოვალეობას, ოპერაციის შემდეგ გარკვეული ხანი დასჭირდება სარეაბილიტაციო პერიოდს. თბილისის „იბერიის“ მთავარი მწვრთნელის ფუნქციებს ამჟამად, დ. ყიფიანის სრულ გამოჯანმრთელებამდე, დროებით ასრულებს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი რევაზ ძოძუაშვილი. მან ჯერჯერობით თავი შეიკავა პასუხის გაცემაზე, მაგრამ გვითხრა, რომ უახლოეს ხანებში უპასუხებს ფეხბურთის მოყვარულებს. ჩვენც ამ იმედით წამოვედით დიღმის საწვრთნელი ბაზიდან. საუბარს რ. ძოძუაშვილთან ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ. მან უნდა ილაპარაკოს თბილისის „იბერიაში“ შექმნილ მდგომარეობაზე, გუნდის პერსპექტივებზე, მის მომავალ გეგმებზე.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **არგენტინის** ნაკრების ყოფილი მწვრთნელი სეზარ ლუის მენოტი, იტალიის მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში აცხადებდა, რომ სიამოვნებით დაბრუნდებოდა ამ პოსტზე. ჟურნალისტებმა დაასახელეს კიდეც იგი ძირითად პრეტენდენტთა შორის, მაგრამ ბოლო მომენტში მენოტიმ გადაიფიქრა. ახალი სეზონიდან იგი ურუგვაის კლუბ „პენიაროლს“ უხელმძღვანელებს.

● **მადრიდის** გაზეთ „ელ პაისის“ ცნობით, 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატის წინ, „რეალის“ მოთამაშეებმა — ესპანელმა ბუტრაგენიომ და არგენტინელმა რუჯერიმ დადეს სანაძლეო — ვისი გუნდი მიაღწევდა მეტ წარმატებას იტალიაში. როგორც იცით, არგენტინელები ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები გახდნენ. ახლა ბუტრაგენიოს მოუწევს ბანკეტის გადახდა მადრიდის ყველაზე ფეშენებელურ რესტორანში. ესპანელი ჟურნალისტების აზრით, ეს ბანკეტი ამავე დროს, მიეძღვნება რუჯერის გაცილებას „რეალიდან“. ახალ სეზონში მის ადგილს იუგოსლავიელი პრედრაგ სპასიჩი („პარტიზანი“) დაიკავებს.

● **წარსულში** ცნობილი თავდამსხმელი კლაუდიო სულზერი, რომელიც წლების განმავლობაში იცავდა შვეიცარიის ნაკრებისა და ციურიხის „გრასჰოპერსის“ ღირსებას, დაინიშნა ქვეყნის I დივიზიონის კლუბ „ლუგანოს“ მწვრთნელად.

● **შვეიცარიის** „სენტ გალენი“ მალე სამხრეთ ამერიკის ნაკრებად იქცევა“ — წერს „ნოიე ციურიხერ ცაიტუნგი“. კლუბში უკვე თამაშობს ჩილეს ნაკრების სამი წევრი: რუბიო, ზამორანო და მარდონესი, არგენტინელები — რაშლე და ტეილერი. სულ ბოლოს გუნდმა შეიძინა პარაგვაის ნაკრების 19 წლის ამომავალი ვარსკვლავი კარდოზო. ახლახან, ამხანაგურ მატჩში, რომელშიც „სენტ გალენმა“ დაამარცხა პორტუგალიის „პორტო“ 6:3, კარდოზომ ჰეთ-თრიკი შეასრულა. საინტერესოა, რომ დანარჩენი 3 გოლიც სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელებმა გაიტანეს.

● **კამერუნის** ნაკრების წარმატებამ მსოფლიო პირველობაზე, მნიშვნელოვნად აამაღლა ინტერესი ამ ქვეყნის ფეხბურთელებისადმი. თავდამსხმელი მაკანაკი ესპანეთის „მალაგამ“ იყიდა, ნახევარმცველი მფედე — ამავე ქვეყნის II დივიზიონის კლუბმა „ჰიგერასმა“. თუ აქამდე საფრანგეთის ჩემპიონატში კამერუნელები ძირითადად დაბალი ლიგების კლუბებში გამოდიოდნენ, წლეულს ხუთი მათგანი I დივიზიონში გამოვა; სონგო („ტულონი“), მასინგი („სენ ჟერმენი“), ომამ ბიკი („რენი“), ნდორამი („ნანტი“), პაგალი („სენტ ეტიენი“). რაც შეეხება ნაკრების ლიდერ როჟე მილას, ამჟამად იგი ავსტრიის „ვიენასთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას.

● **ინგლისის** ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი მარკ ჰეითლი კვლავ იცვლის კლუბს. „მილანსა“ და „მონაკოში“ გატარებული წლების შემდეგ იგი ბრიტანეთში ბრუნდება. მაგრამ ინგლისში კი არა, არამედ — შოტლანდიაში.

● **ცნობილი** ფრანგი მწვრთნელი ემე ჟაკე ახლა საფრანგეთის I დივიზიონის დებიუტანტ „ნანსის“ ავარჯიშებს. წელს გუნდში სამი საერთაშორისო კლასის ფეხბურთელი მიიღეს. შვეიცარიის „ჭამაჭიდან“ გადმოვიდა პოლონეთის უძლიერესი მოთამაშე ტარასევიჩი, ბელგიის „მეჰელენიდან“ — ისრაელის ნაკრების ლიდერი ოჰანა.

● **ბრიუსელის** „ანდერლეჰტმა“ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაყიდა ორი წამყვანი მცველი. დანიის ნაკრების წევრი ჰენრიკ ანდერსენი ბუნდესლიგის „ფკ კოლნმა“ შეიძინა, ხოლო მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე, ბელგიელი ჟორჟ გრიუნი — იტალიის „პარმამ“.

● **დასავლეთ** გერმანიაში გახშირდა ე. წ. ეგზოტიკური ქვეყნებიდან მოთამაშეთა ჩამოყვანა. წელს ბუნდესლიგაში ითამაშებენ არა მარტო ბრაზილიელი და არგენტინელი ფეხბურთელები, არამედ — აფრიკელებიც და აზიელებიც. ასე, მაგალითად, სენეგალელი სულეიმან სენე „ნიურნბერგში“ ჩაირიცხა, გაბელი ენტონი ბაფო — „ფორტუნაში“, ანტონი იეზოა —„აინტრახტში“.

● **ეგვიპტის** ნაკრების მეკარე შუბეირმა მსოფლიო პირველობაზე საკმაოდ მაღალი შეფასებები მიიღო. ეს დაადასტურა ინგლისის წამყვანმა კლუბმა, ლივერპულის „ევერტონმა“, რომელმაც შუბეირს ამ დღეებში ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა.

● **„რაფაელ** მარტინ ვასკესის იტალიის „ტორინოში“ გაყიდვა არ დაასუსტებს „რეალს“ — ასეთია კლუბის მწვრთნელ ტოშაკის აზრი. მის ფუნქციებს გაიწაწილებენ ახალი ფეხბურთელები — ვილაროხა („სარაგოსა“) და ლუის მილა („ბარსელონა“).

(საკ. ინფ.).

დინო რაჯა

იტალიაში ითამაშებს

ცნობილი იუგოსლავიელი კალათბურთელის დინო რაჯას ყიდვას ერთხანს ნბა-ს პოპულარული კლუბი „ბოსტონ სელტიკსი“ აპირებდა. მაგრამ გარიგება რატომღაც ჩაიშალა. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ რაჯამ ბუთი წლით მოაწერა ხელი კონტრაქტს იტალიის „მესაჯეროსთან“ (რომი).

ამ კლუბის პრეზიდენტის კარლო სამას აზრით, „დინო გუნდისთვის იდეალური შენაძენია“. ამას რომ აცხადებს, იგი, პირველ რიგში, ხაზს უსვამს იუგოსლავიელი კალათბურთელის სიმაღლეს (210 სანტიმეტრი) და მის ბრწყინვალე ფიზიკურ მონაცემებს.

სხვათა შორის, „მესაჯეროს“ კლუბს, რომელიც იტალიელი მაგნატის რაულ გარდინის საკუთრებას წარმოადგენს, კიდევ ერთი პრინციპული დავა აქვს „ბოსტონ სელტიკსთან“ ამერიკელი კალათბურთელის ბრაიან შოუს თაობაზე.

შოუმ, ამას წინათ, განაცხადა, რომ სიამოვნებით დარჩებოდა „მესაჯეროში“ კიდევ ერთი წლით, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებით იგი უნდა დაბრუნდეს აშშ-ში და შეასრულოს „სელტიკსთან“ ადრე ნაკისრი ვალდებულება.

„მესაჯეროს“ მწვრთნელი ვალერიო ბიანჩინი ამ ცოტა ხნის წინ ამერიკაში იმყოფებოდა, რათა შეუს შემცვლელი კალათბურთელი შეერჩია, მაგრამ ჯერჯერობით ღირსეული კანდიდატი ვერ მონახა.



ორი შეხვედრა და...

ბუენოს-აირესში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხედფინალური ტურნირები.

ბოლო დღის შეხვედრები დამთავრდა ასე: **პირველი ჯგუფი.** პუერტო-რიკო — აშშ 81:79, ავსტრალია — არგენტინა 95:91.

	თ.	მ.	წ.	ქ.
პუერტო-რიკო	3	3	0	6
აშშ	3	2	1	5
ავსტრალია	3	1	2	4
არგენტინა	3	0	0	3

მეორე ჯგუფი. სსრ კავშირი — ბრაზილია 110:100, იუგოსლავია — საბერძნეთი 77:67.

იუგოსლავია	3	3	0	6
სსრ კავშირი	3	2	1	5
საბერძნეთი	3	1	2	4
ბრაზილია	3	0	3	3

ამრიგად, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ჯგუფებში პირველ-მეორე ადგილებზე გასულმა გუნდებმა. ამ ეტაპზე ერთმანეთს შეხვდებიან: პუერტო-რიკო — სსრ კავშირი და იუგოსლავია — აშშ. მერე კი გაიმართება მატჩი მესამე ადგილისათვის და ფინალი.

იყიდება სპორტსმენები, კლუბები, დარბაზები

ბრატისლავა. ჩეხეთ-სლოვაკეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები შეშფოთებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ ქვეყნის უძლიერესი სპორტსმენები ჯგუფ-ჯგუფად მიემგზავრებიან უცხოეთში და „შინ, ფაქტიურად, არავინ რჩება“.

ადრე მასობრივი გაღატაკების საშიშროების წინაშე იდგა მხოლოდ ფეხბურთი და ჰოკეი. ახლა იმავე დღეში აღმოჩნდა კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ხელბურთი და სპორტის კიდევ ბევრი სხვა სახეობა. ჩეხეთ-სლოვაკეთის სპორტსმენთა უმრავლესობა საზღვარგარეთ მიდის ხელსაყრელი კონტრაქტების დასადებად, თუმცა ისინი არც მცირე შემოსავალზე ამბობენ უარს, ოღონდ როგორმე დატოვონ საკუთარი ქვეყნის ფარგლები და უცხოეთში გადავიდნენ საცხოვრებლად.

ბოლო დროს საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ კლუბებიც. ქალაქ ბრნოდან კი ასეთი ცნობა მოვიდა: ტორონტოს (კანადა) ერთ-ერთი საქციო საზოგადოება აპირებს ჰოკეისტთა კლუბის „ინგსტავისა“ და სპორტული დარბაზის „რონდოს“ შეძენას. ასეთ შეთანხმებას მიაღწიეს საქციო საზოგადოების წარმომადგენელთა შეხვედრაზე ქალაქის მერთან. აქვე გამოითქვა რწმენა, რომ ეს გარიგება საბოლოდ გადაწყვეტს ბრნოში ჰოკეის დაფინანსების პრობლემებს.

ბერლინი ოლიმპიადის მასპინძლობას აპირებს

დასავლეთ ბერლინის სპორტული კონფედერაციებისაგან შექმნილმა კომისიამ დაიანგარიშა, რომ 2000 წელს ქალაქში ოლიმპიური თამაშების მოწყობა დაახლოებით 3,5-4 მილიარდი მარკა ეღირება.

თუ ბერლინი ამ უფლებას მართლაც მიიღებს, ხარჯებს ერთმანეთში გაინაწილებენ სახელმწიფო, ქალაქის თვითმმართველობა და კერძო საწარმოები. ქალაქის მეურნეობაში დაბანდებული სახსრები, კომისიის აზრით, საგრძნობლად გააუმჯობესებს ბერლინის ინფრასტრუქტურას და გარკვეულ ბიძგსაც მისცემს მის ეკონომიკურ განვითარებას.

წლის ბოლომდე ოლიმპიურმა კომისიამ ბერლინის ორივე ნაწილის მერებს უნდა წარუდგინოს სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა, ჟურნალისტთა, მომსახურე პერსონალისა და ტურისტთა მიღება-განაწილების სრული პროექტი.

კომისიის პასუხისმგებელი თანამშრომლის იურგენ კისლინგის აზრით, ორ ნაწილად დაყოფილ ბერლინში საკმაოდ ბევრია პირველხარისხოვანი სპორტული ბაზა. ამას გარდა, 2000 წლისათვის მოკავშირენი (სსრ კავშირი, აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი) ალბათ დატოვებენ ბერლინს და ქალაქის ტერიტორიის დიდი ნაწილი განთავისუფლდება.

ბერლინის კანდიდატურასთან დაკავშირებული ყველა საბუთი საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს უნდა წარუდგინონ არაუგვიანეს 1992 წლის სექტემბრისა, ერთი წლის შემდეგ კი, სოჭ-ის სესია საბოლოო არჩევანს გააკეთებს.

თუ ყველაფერი კეთილად დასრულდა, 2000 წლის ოლიმპიადის საზეიმო გახსნა მოეწყობა სტადიონზე, სადაც 1936 წლის ოლიმპიური თამაშები ჩატარდა. მაგრამ ამ ბაზას სერიოზული რეკონსტრუქცია დასჭირდება, რომელიც, სპეციალისტთა აზრით, რამდენიმე მილიონი დასავლეთგერმანული მარკა დაჯდება.

ამ დღეებში ბერლინს მოინახულებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი. ვიზიტის მიზანია მოლაპარაკება გერმანიის ერთიანი ოლიმპიური კომიტეტის შექმნის თაობაზე.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

სიახლე—ორმხრივ სასარგებლო

პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“ ინიციატივა — ხაფხბურთო პროგნოზის ლატარიის გამართვა — ნამდვილად მიხახალმებელია. იგი ხელს შეუწყობს მაყურებელთა მომრავლებას ტრიბუნებზე, გაზრდის ხაერთო ინტერესს. ხაქართველოს ეროვნული ხაფეხბურთო ჩემპიონატის მიმართ, რამდენაც, რაც უფრო კარგად გავერკვევით ხატურნირო ხიტუაციაში, რაც უფრო უკეთესად გვეცოდინება თითოეული გუნდის შეხაძლებლობები, მით უფრო მეტია მოგების შანხი. რაც მთავარია, გაუადვილდება ხპორტპროგნოზის ლატარიის ბილეთებიდან ამონაგები თანხა მთლიანად ჩვენს რესპუბლიკაში დარჩება და ისევ ქართულ ხპორტხა და ქართველ ხპორტხმენებს მოხმარდებათ. ერთი ხიტყვით, თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც შევარდნელებს აქვთ ჩაფიქრებული, გულშემატკივრებიც კმაყოფილი დარჩებიან და ორგანიზატორებიც.

წარმატებას გისურვებთ, მეგობრებო, ხაფეხბურთო ხპორტპროგნოზის ლატარიის გათამაშებაში!

ბილეთების შევსებამდე გაეცანით გათამაშების ძირითად პირობებს:

1. ყოველ ტირაჟში შეტანილია ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მონაწილე გუნდების ათი კალენდარული მატჩის პროგნოზი.

2. შეავსეთ ლატარიის ბილეთის „ა“, „ბ“ და „გ“ ნაწილები. ბილეთის „ა“ ნაწილი დაიტოვეთ როგორც მოგების მისაღები საბუთი. ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილები ტირაჟში მითითებული პირველი კალენდარული მატჩის ჩატარებამდე არანაკლებ სამი დღით ადრე ბარდება ბილეთების გამავრცელებლებს ან პროფკავშირული სპორტსაზოგადოების რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებში.

3. ბილეთი მოგებახვედრილად ჩაითვლება, თუ ათი მატჩის პროგნოზის შეტანისას მოგროვდება 50 და მეტი ქულა.

4. ქულების შეჯამების წესი:

I. მატჩის შედეგისა და ანგარიშის ზუსტად გამოცნობისათვის — 10 ქულა.

II. მხოლოდ შედეგების ზუსტად გამოცნობისათვის — 5 ქულა.

III. მიუხედავად შედეგისა, ერთერთი გუნდის მიერ გატანილი ბურთების რაოდენობის გამოცნობისათვის — 3 ქულა.

შენიშვნა: 1. ქულათა შეჯამებისას II და III პუნქტების ერთდროულად გამოცნობისათვის მონაწილეს ეწერება უმაღლესი — 5 ქულა. 2. ბილეთში შეტანილი კალენდარული მატჩის გაუმართაობის შემთხვევაში ამ მატჩის პროგნოზისათვის ყველას ეწერება 5 ქულა

5. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშებაში მაქსიმალური მოგების თანხა შეადგენს 10 000 (ათი ათას) მანეთს, ხოლო მინიმალური — 10 მანეთს. ლატარიის გათამაშებაში მაქსიმალური თანხის — 10 ათასი მანეთის მოგებისას, ბილეთის მფლობელს ეძლევა მსუბუქი ავტომობილი „ჟიგული“ ურიგოდ შესაძენი ტალონი.

6. მოგების გაცემა იწყება ტირაჟის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ და გრძელდება მომდევნო ერთი თვის განმავლობაში.

7. ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილები, რომლებიც შევსებულია ფანქრით, გადასწორებულია ან გადაშლილია, ტირაჟში მონაწილეობისათვის არ დაიშვება.

8. ლატარიის ჩამტარებელი ორგანიზაცია პასუხისმგებლობას არ კისრულობს ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილების მიუღებლობისას და დაგვიანებით მიღების შემთხვევაში.

ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის პირობები

1. ფეხბურთის პროგნოზის სპორტულ ლატარიას მართავს საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.

2. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ბილეთები გაიყიდება მტკიცე ნებაყოფლობის წესით, საზოგადოებრივი გამავრცელებლების საშუალებით.

3. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარია იმართება ტირაჟების მიხედვით.

ტირაჟები გაიმართება ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს და პირველ ლიგაში მონაწილე გუნდების ათი კალენდარული მატჩის პროგნოზის ტირაჟების გამართვის რაოდენობას და ვადებს განსაზღვრავს საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“.

4. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ერთი ბილეთის ღირებულება 3 მანეთია.

5. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ბილეთს ავსებს მონაწილე, რომელიც პასუხისმგებელია ბილეთის სწორად შევსებისა და დროულად ჩაბარებისათვის.

გათამაშებაში მონაწილის იურიდიულ-სამართლებრივი ურთიერთობა ლატარიის გამმართავ ორგანიზაციასთან ყალიბდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილები აღმოჩნდება საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენის“ სპეციალური კომისიის მიერ დალუქულ ხეიფში.

6. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშებაში მონაწილე ვალდებულია სწორად შეავსოს ბილეთი, კერძოდ:

— პირველში გამოკვეთებული კალენდრის მიხედვით წერს თავის პროგნოზებს ლატარიის ბილეთის „ა“, „ბ“, „გ“ ნაწილებზე — გრაფაში „პროგნოზი“.

— ბილეთის „ა“ ნაწილს ჭრის ხელშეკრულებით გათორმებული ხაზოგადოებრივი გამავრცელებლების მეშვეობით;

— მონაწილე ავსებს ბილეთის „ა“, „ბ“, „გ“ ნაწილების მხოლოდ გრაფას „პროგნოზი“ და მიუთითებს ტირაჟის ნომერს. ახე მაგალითად: 01, 02, 08, 10, 15 და ა. შ.

7. თუ ფეხბურთის პროგნოზის ბილეთში შეტანილი კალენდარული შეხვედრა არ გაიმართა ტირაჟის შედეგების შეჯამების დადგენილ ვადაში, გათამაშების უფლება მონაწილეს გაუმართავი მატჩის პროგნოზისათვის ეწერება 5 ქულა.

8. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშების ბილეთი მოგებახვედრილად ჩაითვლება, თუ მასში ათი კალენდარული მატჩის პროგნოზის შეტანისას მოგროვდება 50 ან მეტი ქულა.

ქულები ჯამდება შემდეგნაირად:

I. მატჩის შედეგისა და ანგარიშის ზუსტად გამოცნობისათვის — 10 ქულა.

II. მატჩის მხოლოდ შედეგის გამოცნობისათვის — 5 ქულა.

III. მიუხედავად შედეგისა, ერთერთი გუნდის მიერ გატანილი ბურთების რაოდენობის გამოცნობისათვის — 3 ქულა.

შენიშვნა: ქულათა შეჯამებისას მე-2 და მე-3 პუნქტების ერთდროულად ამოცნობის შემთხვევაში, მონაწილეს ეწერება უმაღლესი — 5 ქულა.

9. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ტირაჟების შედეგები ჯამდება ბილეთში მოცემული ბოლო კალენდარული მატჩის გამართვიდან ერთი თვის შემდეგ.

10. ყოველი ტირაჟის შედეგები ჯგუფების მიხედვით მოგებული თანხის ოდენობის ჩვენებით ეცნობება. რესპუბლიკის ხაზოგადოებრიობას მასობრივი ინფორმაციის ხაშუალებებით.

11. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშების ყოველი ტირაჟის მოგების ფონდი შედგენს გათამაშებისათვის გავრცელებული ბილეთების ხაერთო ღირებულების 50 პროცენტს.

12. გათამაშების ყოველი ტირაჟის მოგების ფონდი განაწილდება დაგროვილი ქულების მიხედვით, რომელიც დაყოფილია ოთხ ჯგუფად:

I ჯგუფი — 90 ქულიდან 100 ქულის ჩათვლით — მოგების ფონდის 10 პროცენტი;

II ჯგუფი — 80 ქულიდან 90 ქულამდე — მოგების ფონდის 20 პროცენტი;

III ჯგუფი — 70 ქულიდან 80 ქულამდე — მოგების ფონდის 30 პროცენტი;

IV ჯგუფი — 50 ქულიდან 70 ქულამდე — მოგების ფონდის 40 პროცენტი.

13. ყოველ ჯგუფში მოგებახვედრილი ბილეთებისათვის გახაცემ თანხას განაწილებს ამ ჯგუფის მოგების ფონდის გაყოფა მოგებახვედრილი ბილეთების რაოდენობაზე.

14. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშებაში მაქსიმალური მოგების თანხა შეადგენს 10 ათას მანეთს, ხოლო მინიმალური — 10 მანეთს.

15. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის გათამაშებაში მაქსიმალური თანხის — 10 ათასი მანეთის მოგებისას, ბილეთის მფლობელს ეძლევა მსუბუქი ავტომობილი „ჟიგულის“ ურიგოდ შესაძენი ტალონი.

16. სპორტული ლატარია „ხაფეხბურთო პროგნოზის“ ბილეთების „ბ“ და „გ“ ნაწილი, რომელიც შევსებულია ფანქრით, გადასწორებულია ან გადაშლილია, ტირაჟში მონაწილეობისათვის არ დაიშვება.

17. შემოხული სპორტული ლატარია „ხაფეხბურთო პროგნოზის“ ბილეთების „ბ“ და „გ“ ნაწილები შემდგომ დამუშავებას გადიან დამტკიცებული ინსტრუქციის მიხედვით.

18. სპორტული ლატარია „ხაფეხბურთო პროგნოზის“ გათამაშებაში მოგებული თანხის გაცემა იწყება ტირაჟის დამთავრებიდან ერთი თვის შემდეგ და ტარდება მომდევნო ერთი თვის განმავლობაში.

19. დაგვიანებით ან ხაერთოდ არშემოხული „ხაფეხბურთო პროგნოზის“ ბილეთების „ბ“ და „გ“ ნაწილებზე ხაქართველოს პროფკავშირთა სპორტხაზოგადოება „შევარდენი“ მატერიალურ პასუხისმგებლობას არ კისრულობს.

20. აღნიშნული ვადის გახულის შემდეგ წარმოდგენილი ბილეთის „ა“ ნაწილი ითვლება ვადაგახულად და ფულადი მოგება არ ანაზღაურდება.

21. ფეხბურთის პროგნოზის ლატარიის ბილეთით 500 მანეთამდე მოგებულ თანხას გასცემენ რესპუბლიკის შემნახველი სალაროები. სპორტული ხაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკური სახჭოს მიერ დამტკიცებული ოფიციალური ცხრილის მიხედვით, ბილეთის „ა“ ნაწილის წარდგენის შემდეგ.

22. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ბილეთით მოგებული 500 მანეთზე მეტი თანხის გაცემა ფორმდება ხაქართველოს პროფკავშირების სპორტული ხაზოგადოება „შევარდენის“ რესპუბლიკურ სახჭოში.

23. თუ გათამაშებაში მონაწილე მოგებახვედრილი ბილეთის „ა“ ნაწილის ნომერი დაზიანებულია, შემნახველი სალაროები მას არ ანაღდებენ.

24. ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის მოგებახვედრილი ბილეთის „ა“ ნაწილის დაკარგვის შემთხვევაში, მონაწილე კარგავს ბილეთის განაღდების უფლებას.

ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ჩამტარებელი კომისიის გადაწყვეტილებით ბილეთი მოგებახვედრილად ჩაითვლება, თუ ათი მატჩის პროგნოზის შეტანისას მოგროვდება 50 ქულა და არა 60 ქულა, როგორც აღნიშნულია ბილეთებში.

ფეხბურთის პროგნოზის სპორტული ლატარიის ჩამტარებელი კომისიის გადაწყვეტილებით პირველ ტირაჟში ქულათა მაქსიმალური რაოდენობის (90-დან—100-მდე) მოგებებისათვის დაწესებულია მოგება — 10.000 მანეთი.



პირველი ტირაჟი

1. „გორდა“ (რუხთავი) — „ლიახვი“ (ცხინვალი). 14.09.90 წ.
2. „კოლხეთი-1913“ (ფოთი) — „ამირანი“ (ონამიჩირე). 14.09.90 წ.
3. „ბათუმი“ (ბათუმი) — „ცხუმი“ (ხოხუმი). 14.09.90 წ.
4. „ხანკავარდო“ (ხამტრედია) — „მერცხალი“ (ოზურგეთი). 14.09.90 წ.
5. „გურია“ (ლანჩხუთი) — „ჭუთაისი“ (ქუთაისი) 14.09.90 წ.
6. „ქართლი“ (გორი) — „შუქურა“ (ქობულეთი). 14.09.90 წ.
7. „მზიური“ (გალი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი). 15.09.90 წ.
8. „ივერია“ (ხაშური) — „ოდიში“ (ზუგდიდი). 15.09.90 წ.
9. „იბერია“ (თბილისი) — „კოლხეთი“ (ხობი). 15.09.90 წ.
10. „დილა“ (გორი) — „ხამგურალი“ (წყალტუბო). 15.09.90 წ.

ფეხბურთის პროგნოზის I ტირაჟში მონაწილე ბილეთების ჩაბარების უკანასკნელი ვადაა 1990 წლის 11 სექტემბერი.

დაიმახსოვრეთ:

თქვენს მიერ ივსება სპორტპროგნოზის ბილეთის მხოლოდ „ა“, „ბ“, „გ“ ნაწილების გრაფა „პროგნოზი“, ხოლო გრაფები „შედეგი“ და „ქულა“ უნდა დარჩეს შეუვსებელი.

2. არ დაგვიანოთ „სპორტპროგნოზის“ ბილეთის „ბ“ და „გ“ ნაწილების ჩაბარება, რომელთა ჩაბარების უკანასკნელი ვადა თქვენთვის ცნობილი იქნება პრესის საშუალებით.

3. „სპორტპროგნოზის“ ბილეთის გრაფა „ტირაჟში“ მკაფიოდ უნდა ჩანდეს ტირაჟის ნომერი და იგი უნდა დაიწეროს ტირაჟის ზუსტი ჩვენებით; ასე მაგალითად: 01, 03, 09, 10, 15 და ა. შ.

4. ბილეთის შევსება უნდა მოხდეს პასტის ავტოკალმით, დაუშვებელია მისი ფანქრით შევსება, გადასწორება... ასეთი ბილეთი ტირაჟში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

ჩვენი მისამართია: თბილისი, აკ. წერეთლის პრ. 95, საქართველოს პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი“. ტელ: 35-19-67.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ბ. ქორქია. კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ინდექსი 00486. ხელმოწერილია კ/ც-ს გამოცემლობის ბეჭდში 000000, ტირაჟი, დეკინის ჯ. 14. ოფსეტური ოფსეტური წვნილი ხელისუფლის კორპუსში, ხაშახიძის ჯ. 29.